

CASPIAN DEVELOPMENT ADVISORY PANEL

[Home](#)

კასპიის განვითარების საკონსულტაციო კომისია – უფლებამოსილების სფერო

კომისიის დაფუძნება

კომპანია „ბი-პი“-მ დამოუკიდებელი საკონსულტაციო ორგანო, „კასპიის განვითარების საკონსულტაციო კომისია“ (CDAP) დააფუძნა, რაც წარმოადგენს ნაწილს კომპანიის გეგმისა უზრუნველყოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის აღიარება მსოფლიო დონის წამყვან პროექტად. აღნიშნული კომისია, რომელიც სამწლიანი ვადით შეიქმნა, მუშაობას 2003 წლის დასაწყისში შეუდგება. იგი კომპანიას უზრუნველყოფს ობიექტური ანალიზით იმის შესახებ, თუ ზოგადად რა ზემოქმედებას ახდენს მილსადენის პროექტი აზერბაიჯანში, თურქეთსა და საქართველოში ეკონომიკურ, სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე და კერძოდ 1,760 კილომეტრი სიგრძის მილსადენის მიმდებარე რაიონებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ყურადღება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს დაეთმობა, კომისიას შესაძლებლობა ექნება შეისწავლოს რეგიონში „ბი-პი“-ს სხვა საქმიანობა და გეგმები მილსადენთან დაკავშირებით, მათ შორის აზერი-გუნაშლი-ჩირაგის ნავთობსადენს და შაჰ დენიზის გაზის საბადოს ათვისება და ბაქო-თბილისი-ერზერუმის საექსპორტო გაზსადენი, რომელიც აზერბაიჯანის და საქართველოს გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პარალელურად გაივლის. (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის, აზერ-გუნაშლი-ჩირაგის საბადოსა და შაჰ დენიზის ოპერატორს „ბი-პი“ წარმოადგენს).

კომისიის ძირითადი უფლება-მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება, შემდეგით:

„ბი-პი“-ს გეგმების შეფასება აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში მიმდინარე პროექტების ბუნებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედების მართვის თვალსაზრისით, როგორც მილსადენის მარშრუტის, ასევე ზოგადად რეგიონალური მასშტაბით. რეკომენდაციების გაკეთება გაუმჯობესების კუთხით.

„ბი-პი“-ს პოლიტიკის შესწავლა პროექტებთან მიმართებით და პროექტების ზემოქმედების კრიტიკული შეფასება.

რჩევების გაცემა სოციალური და საზოგადოებრივი საქმიანობის სწორი მიმართულების განსაზღვრის მიზნით, რაც საშუალებას მისცემს „ბი-პი“-ის და მის

პარტნიორებს დადებითად იმოქმედონ აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის ეკონომიკასა და საზოგადოებაზე.

კომისიას საკონსულტაციო ფუნქცია აკისრია და მას პროექტთან მიმართებით არ ექნება არავითარი ადმინისტრაციული უფლებამოსილება თუ პასუხისმგებლობა.

კომისია დაფინანსდება „ბი-პი“-ს ჯგუფის მიერ და მას დახმარებას გაუწევენ ადგილობრივი წარმომადგენლები თითოეული ქვეყნიდან. კომისიას ეყოლება საკუთარი სამდივნო ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში მოქმედ იურიდიულ ფირმაში „ქოვინგტონ & ბერლინგი“. კომისიას აქვს საკუთარი ვებ-გვერდი (www.caspsea.com) და ელ. ფოსტა: CDAP@caspssea.com. დაინტერესებულმა პირებმა კომისიის განსახილველად ინფორმაცია სამდივნოში უნდა წარმოადგინონ.

კომისია ანგარიშს ჩააბარებს „ბი-პი“-ს ჯგუფის მთავარ ადმინისტრაციულ დირექტორს. „ბი-პი“-ს და კომისიას შორის ურთიერთობა წარიმართება „ბი-პი“-ს ჯგუფის მთავარი ადმინისტრაციული დირექტორის მიერ დანიშნული „ბი-პი“-ს მაღალი თანამდებობის პირის მეშვეობით.

კომისიის წევრები

კასპიის განვითარების საკონსულტაციო კომისია ოთხი წევრისგან შედგება (თავმჯდომარის ჩათვლით). წევრები დაინიშნებიან „ბი-პი“-ს ჯგუფის მთავარი ადმინისტრაციული დირექტორის მიერ, თუმცა სხვა მხრივ მათ არ ექნებათ უშუალო შეხება კომპანიასთან.

კომისიის თავმჯდომარის ფუნქციას გასწევს იან ლეშლი („ქეა ქეფითალის“ თავმჯდომარე და მთავარი ადმინისტრაციული დირექტორი, „სმითქლაინბიჩამის“ ყოფილი მთავარი ადმინისტრაციული დირექტორი). დანარჩენი წევრები გახლავთ სტიუარტ აიზენსტატი – აშშ-ს ყოფილი ელჩი ევროკავშირში, ვაჭრობის მინისტრის მოადგილე, სახელმწიფო მდივნის მოადგილე და ფინანსთა მინისტრის მოადგილე, ამჟამად „ქოვინგტონ და ბერლინგის“ პარტნიორი; ჯიმ მაკნილი – კანადელი დიპლომატი და სტრატეგიული მრჩეველი გარემოსდაცვით, ენერჯეტიკის და მდგრადი განვითარების საკითხებში, გარემოს და განვითარების მსოფლიო კომისიის (ბრუნდლანდის კომისიის) ყოფილი გენერალური მდივანი და მსოფლიო ბანკის დამოუკიდებელი შემსწავლელი კომისიის ყოფილი თავმჯდომარე; და მუჰამედ საჰნუნი, ყოფილი ელჩი და ალჟირის პრეზიდენტის მრჩეველი, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური რწმუნებული და ბრუნდლანდის კომისიის წევრი.

საქმიანობის განრიგი

კომისიის წევრები ოფიციალურად შეიკრიბებიან სულ მცირე წელიწადში ორჯერ და ყოველ წელს, დაახლოებით ერთი კვირის ვადით, ერთხელ მაინც ეწვევიან იმ რეგიონს, სადაც პროექტი ხორციელდება.

„ბი-პი“-სთან შეთანხმებით, კომისიის წევრებმა შეიძლება მოიწვიონ ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები და კონსულტანტები, რომლებიც წევრებს პროექტის შეფასების და განხილვის საკითხების ირგვლივ კონსულტაციებს გაუწევენ.

ანგარიშები

კომისია თავის პირველ დამოუკიდებელ ანგარიშს 2003 წლის ბოლოსთვის გამოსცემს, ხოლო ამის შემდგომ დამატებით ანგარიშებს სულ მცირე წელიწადში ერთხელ მოამზადებს. კომისიის დამოუკიდებელი ანგარიშები და დასკვნები საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება მას შემდეგ, რაც მას „ბი-პი“-ს ჯგუფის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი გაეცნობა და „ბი-პი“ მასთან დაკავშირებით შესაბამის პასუხებს მოამზადებს.

დაფინანსება

კომისია დაფინანსდება „ბი-პი“-ს მიერ, პროექტისგან დამოუკიდებლად.